PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ მიერ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ მარნეულის მუნიციპალიტეტში

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი
წევრი: გიორგი ნაჭყეპია

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „მოდუსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის №348353 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი გიორგი ნაჭყეპია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი), სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ წერილის (რეგისტრაციის №229964; №333009 და №334673 განხორციელების ადგილი მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) საფუძველზე დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართებით (მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი, განმახორციელებელი პერსონალი), პროგრამის დამტკიცების აქტი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები, მემორანდუმები და სხვ.

დამატებით იქნა გამოთხოვილი (მისამართზე მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება) პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის, იაღლუჯის დასახლების მისამართი სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ განუყოფელი ნაწილია.

2021 წ. 22 აპრილს განხორციელდა დისტანციური ჩართვა, მონიტორინგის განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, პრაქტიკის ობიექტი და მატერიალური აღჭურვილობა.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1), კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი კომპონენტი, აქტივობა (გამოცხადებული ტენდერის დასრულება), დასრულების თარიღი (30.062021), პასუხისმგებელი პირი, შემსრულებელი, სხვა ჩართული მხარეები, რესურსი, მტკიცებულება.

დაწესებულებამ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტებით სრულად წარმოადგინა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაცია, რაც ვიზიტის დროს დათვალიერდა დეტალურად.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრული შესაბამისობით.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაცია

2.2.1(2) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

- დაწესებულებას ჰყავს პროფესიული მოდულების ორი განმახორციელებელი, ვინაიდან დაწესებულება გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორ ცვლაში განხორციელებას რეკომენდებულია აიყვანის მინიმუმ კიდევ ერთი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი.

2.2.1(3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

- რეკომენდებულია ახლად აყვანილი ახალგაზრდა კადრებს ჩაუტარდეთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაციის ტექ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	**ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა**
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ.№128; 11.07.2018წ. ცვლ. ბრძ. N34;12.03.2021წ; ბრძ.№94; 23.04.2021წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

კოლეჯის მისიაა „დაძლიოს გამოწვევები, გახდეს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე და ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაიმკვიდრებს რეგიონში წამყვან პოზიციას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით და ხარისხიანი განათლების მიწოდებით. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა სწავლებაში, გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდება პროფესიული განათლების მსურველთათვის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის თანამშრომლობით შექმნილია პროფესიული სწავლებისათვის ერთიანი სივრცე, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის №2 სტრატეგიული მიზნის 1. ქვეპუნქტით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/დანერგვა.

კოლეჯი საკუთარი მისიიდან გამომდინარე, თვლის, რომ მზადაა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები და შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული დასაქმებისათვის. კოლეჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სამოქმედო არეალის გაფართოვება და პროფესიული საგანმანათლებლო სწავლების განხორციელება მარნეულის მუნიციპალიტეტში.

დაწესებულებამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მოიძია საინჟინრო მიმართულებით პარტნიორი ორგანიზაცია შპს „აგროსისტემები“, რომელმაც გამოთქვა მზაობა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების და წარმატებული სტუდენტების დასაქმებაში ხელშეწყობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ - კოლეჯი მოდუსი არის მარნეულის მუნიციპალიტეტში ერთადერთი საჯარო კოლეჯი, მიზანშეწონილად მიაჩნია, ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, დანერგოს და განახორციელოს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (საბაზო კვალიფიკცია).

<u>დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებას „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროცედურები დაწესებულებას გაწერილი აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-9 - მე-13 მუხლებით და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის წესის, კრიტერიუმების და ფორმების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და პრაქტიკის ობიექტის გამტარუნარიანობა.

დაწესებულებამ მარნეულის მუნიციპალიტეტის მისამართზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო A და B (43 კვ.მ) გარემო რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტისათვის სასწავლო მაგიდებით და სკამებით, ასევე პრაქტიკული მოდულების ნაწილისათვის პრაქტიკის ობიექტი. კოლეჯი ითხოვს კვოტას 30 სტუდენტის ოდენობით ორ ცვლაში.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

განაცხადით წარმოდგენილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები სრულად უზრუნველყოფს ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სააგანმანათლებლო რესურსი შესაბამისია სწავლის შედეგებით მისაღწევი კომპეტენციისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მატერიალური და საგანმანათლებლო, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აჩევითი მოდული არა აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულების წესდების და „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ მე-2 თავის, მე-2 მუხლით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის, მიერ 2021 წლის 12 მარტის №34 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია “ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის ერთ-ერთ მისანიჭებელ კვალიფიკაციას წარმოადგენს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ კვალიფიკაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტი, სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავები, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები გაწერილი აქვს „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-2 თავში.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2– 15 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს, ჯამური 16 კრედიტის მოცულობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 31 კრედიტის მოცულობით და 3 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 13 კრედიტის მოცულობით.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს და სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 43 კვირა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოდულების, ქართული ენა A2 სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და მოცულობა შეადგენს 75 კრედიტს, სწავლის ხანგრძლივობაა 53 კვირა;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ წესდებით;
- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეულირების წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №271; 9.10.2019 წ. ცვლ. ბრძ. №64; 10.06.2020 წ; ბრძ. №156; 21.10.2020 წ.);
- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ მისიით;
- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სტრატეგიული განვითრების გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“ (დამტკ.ბრძ. №44; 23.03..2018 წ.);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის წესის, კრიტერიუმების და ფორმების დამტკიცების შესახებ“- ბრძ №107, 14.08.2020.
- ხარისხის მენეჯმენტი სსიპ კოლეჯ მოდუსში - სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურებით;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დისტანციური ჩართვისას განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტის მისამართზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი AB სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება, აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით.
აუდიტორია №101 (AB გარემო) აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის კომპიუტერებით, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სამუშაო ადგილით, კომპიუტერით, პროექტორით, დაფით და პრინტერით. AB გარემო ამ ეტაპზე აღჭურვილია სრულად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა-ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრაში“ და „პრაქტიკული პროექტი-ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრაში“ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „აგროსისტემებთან“.

განხორციელდა ჩართვა შპს „აგროსისტემებთან“, რომელიც წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფქვილის მწარმოებელ საწარმოს და კოლეჯი აღნიშნულ დაწესებულებას მოიაზრებს სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპრაქტიკო ბაზად. გასაუბრება მოხდა საწარმოს დირექტორთან, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა რეგიონში კოლეჯის დაფუძნების და საკუთარი საწარმოს საგანმანათლებლო პროექტში ჩართვის გამო. აღნიშნა, რომ მზადაა პროფესიული სტუდენტების მისაღებად. დათვალიერდა საწარმოს ტერიტორიაზე ადმიისტრაციისა და ბუღალტერაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა, სივრცე იძლევა საშუალებას მოემსახუროს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს როგორც „გაცნობითი პრაქტიკის-ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრაში“, ისე „პრაქტიკული პროექტის-ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრაში“.

დაწესებულება გეგმავს 30 სტუდენტის სწავლებასას ორ ცვლაში.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სსიპ - კოლეჯ მოდუსის 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 ზოგადი მოდულების, ხოლო 2 პროფესიული მოდულების სწავლებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გაითვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც: მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც, პროფესიული განათლების მასწავლებლების საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში არ აღემატება კვირაში 30-32 საათს.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა ვინაიდან დაწესებულება გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორ ცვლაში განხორციელებას რეკომენდებულია აიყვანის მინიმუმ კიდევ ერთი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კოლეჯის „ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის“ შესაბამისად, რომლის დანართით - ინტერვიუს შედეგების ამსახველი ფორმა-განსაზღვრულია კანდიდატის შესაფასების კრიტერიუმები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები), კერძოდ სამუშაო გამოცდილება, განათლება, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოტივაცია. მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადი და პროფესიული მოდულების სწავლებას განახორციელებენ სსიპ-კოლეჯი „მოდუსის“ როგორც კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე ახლად აყვანილი პერსონალი. პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლისა და მათთან გასაუბრების საფუძველზე ექსპერტებმა მივიჩნიეთ რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობას აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; თუმცა ახლად აყვანილი კადრები საჭიროებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ტრენინგებს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების და მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის ხელმძღვანელი. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეულირების წესით (მე-3 მუხლი) საგნმანათლებლო პროგრამის/მოდულების შემუშავება/მოდიფიცირების პროცესს კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც განისაზღვრება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით პროგრამასთან ერთად; დაწესებულებას 2020 წლის 27 ივლისის №85 ბრძანებით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისთვის დამატებითი ფუნქციები, რომლის თანახმად: პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის შემუშავებაში, სასწავლო გეგმების შედგენაში, ახორციელებს პროგრამის მიმდინარეობაზე მონიტორინგს და ეტაპობრივად წარადგენს ანგარიშს პროგრამის მიმდინარეობის შესახებ, ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვერიფიკაციის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში ინიცირებას უწევს პროგრამაში ცვლილების განხორციელებას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერებული იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის მისამართზე არსებული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საერთო სარგებლობის სამი კომპიუტერი. შერჩევითად გადამოწმდა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, ყველა წიგნი ხელმისაწვდომია ძირითადად ელექტონული სახით ელ. დისკებზე, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა. საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, საგანმანათლებლო რესურსის პროფესიულ სტუდენტებზე მიწოდებას უზრუნველყოფს კოლეჯის სტუქტურით განსაზღვრული პირი „სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი“.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებაში არსებობს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
დისტანციური ჩართვისას დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა რომელის ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის (კერძოდ დაგებულია უსინათლოთა ბილიკი, უზრუნველყოფილია ლიფტით).

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ 35-ე მუხლით გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რომლის თანახმად კოლეჯი ახორციელებს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინტეგრირებისათვის კოლეჯი იყენებს პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის (საჭიროების შემთხვევაში). საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია პროგრამის ბიუჯეტი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა 13 პროფესიული სტუდენტით, მოთხოვნილი სტუდენტების რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ზღვარს. შემოსავლების სახეობა შედგება ვაუჩერილი დაფინანსებით შედგება - 32188 ლ. ხარჯების სახეობაში შედის პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება - 18120ლ. პროგრამისთვის განსაზღვრული სახარჯი მასალა და ნედლეული - 9241 ლ. გაუთვალისწინებელი ხარჯი - 3218 ლ. აღჭურვილობის ამორტიზაცია - 1609 ლ. რაც მთლიანობაში შეადგენს - 32188 ლ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეულირების წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №271; 9.10.2019 წ. ცვლ. ბრძ. №64; 10.06.2020 წ; ბრძ. №156; 21.10.2020 წ.);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმი მოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2019 წლის 24 მაისს №125 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები“, რომელიც ექვემდებარება ციკლურ სისტემას -„დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, მე-2 მუხლში, გაწერილია ყველა ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები. რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შერჩევისა და განხორციელების პროცედურებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. სწავლების ხარისხის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების (მასწავლებელი - სტუდენტის) კმაყოფილების კვლევას, რომელთა განსახორციელებლად გამოიყენება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ფორმები. სასწავლო პროცესის შემოწმება დაგეგმილია ორი ძირითადი მიმართულებით: მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვებით/მონიტორინგით და სასწავლო პროცესში ჩართული პირების (მასწავლებელი - სტუდენტის) კმაყოფილების კვლევით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება/მონიტორინგი გულისხმობს კოლეჯში შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების მუშაობას. შიდა მონიტორინგის ჯგუფი იქმნება დირექტორის ბრძანებით. შედგება მუდმივი და არამუდმივი წევრებისგან. არამუდმივი წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი და/ან დარგის სპეციალისტი; სალექციო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი და/ან დირექტორის ინდივიდუალური ბრძანებით განსაზღვრული პირი - სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი; სალექციო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება ლექციებზე პერიოდული დასწრებით მოდულის მიმდინარეობის პროცესში წინასწარ განსაზღვრული და გასაჯაროებული გეგმა - გრაფიკის შესაბამისად. სალექციო პროცესზე დასწრების დროს შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი ავსებს საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარს, სადაც განსაზღვრულია საკონტაქტო საათის მახასიათებლები და ხდება სწავლის მიზნებთან შესაბამისობის დადგენა. მონიტორინგის შედეგად ფასდება სტუდენტთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, მიმდინარე და დასრულებული მოდულების სწავლის შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულებები. შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მონიტორინგის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად (ანალიზი განიხილება შიდა მონიტორინგის ფოკუს ჯგუფში) გაიცემა რეკომენდაციები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულება აანალიზებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. გამოკითხვების და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების საფუძველზე შიდა მონიტორინგის ჯგუფი წარმოადგენს ერთიანი ანალიზის დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობის და გამოვნელილი ხარვეზების შესახებ, რის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამაში ცვლილების განხორციელების პროცედურა, შედეგების ანალიზი იძლევა საშუალებას საჭირებების გათვალისწინებით გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით (დამტკ. დირექტორის ბრძ. №125; 24.05.2019წ);
- „ხარისხის მენეჯმენტი - სსიპ კოლეჯ მოდუსში -სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები“ (ბრძ. N125, 24.05.2019წ)
- გამოკითხვის კითხვარებით;
- გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გათვალისწინებით სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯში სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმება ორ ცვლაში. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აქვს შესაბამისი გარემო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას დისტანციურად, გამომდინარე სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობების მიხედვით. ასევე, პროფესიული სტუდენტებისთვის ტარდება კონსულტაციები. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესი, შესაბამისად, კოლეჯს აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები. 2019 წლიდან კოლეჯში შექმნილია და მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა კავშირი, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული პროფესიული სტუდენტების საჭიროებიბის გამოვლენაში.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. იგეგმება პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჯგუფის მიერ. კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში პროფესიული განათლების მასწავლებელების ჩართულობას. კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში პროფესიული განათლების მასწავლებელების ჩართულობას, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ გაწერილი აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურები. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს-იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ტარდება კონსულტაციები. კოლეჯს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის დიტანციურად წარმართვის წესი.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას განაცხადით წარმოდგენილი აქვს, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება სრულადაა შესაძლებელი კოლეჯის ბაზაზე, თუმცა აქვს ასევე შესაძლებლობა მემორანდუმის ფარგლებში გაიყვანოს პროფესიული სტუდენტები რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართვის მიზნით, რისთვისაც 2021 წლის 10 და 11 მარტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი: შპს „აგროსისტემებთან“. მემორანდუმი გაფორმებულია 5 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

კოლეჯში მოქმედებს „სსიპ - კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესები“ და კოლეჯს ჰყავს 4 სერთიფიცირებული უსაფრთხოების სპეციალისტი. რომელებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა უსაფრთხოებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. მარნეულის სასწავლო კორპუსში სასწავლო/სამუშაო გარემო აღჭურვილია უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეულირების წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №271; 9.10.2019 წ. ცვლ. ბრძ. №64; 10.06.2020 წ; ბრძ. №156; 21.10.2020 წ.);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;
- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ „სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესებით“;
- მემორანდუმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და მტკიცებულებების შენახვის პროცედურები გაწერილია სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, მე-8 თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ხარისხის ამაღლების მიზნით, ხდება ინსტრუმენტის მომზადება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, ხოლო შეფასება შიდა ვერიფიკატორის მიერ.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალების შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობაშესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში". მოდულის დასრულების შემდეგ არაუმეტეს ორ კვირაში სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტურობას, კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და აარქივებს მტკიცებულებებს შენახვის ვადით.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კოლეჯში შემუშავებულია/დამტკიცებულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვის წესი (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, 34-ე მუხლი) შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წელი შეფასების განხორციელებიდან, ხოლო შეფასების უწყისები იტვირთება e-flow-ს ელექტრონულ სისტემაში და ინახება უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეულირების წესით (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №271; 9.10.2019 წ. ცვლ. ბრძ. №64; 10.06.2020 წ; ბრძ. №156; 21.10.2020 წ.);
- შეფასების ინსტრუმენტის და ვერიფიკაციის დამტკიცებული ფორმები. ბრძ.N69,11.06. 2020
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: